ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N06

2017 წლის 18 მაისი
ქ.ქობულეთი

,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 სექტემბრის N10 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 20-ე მუხლის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

მუხლი 1.

შევიდეს დამატება ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 სექტემბრის N10 დადგენილებაში და მე-10 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,გ.ვ" პუნქტი:

,,გ.ვ) ახორციელებს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით ,,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე" ადგილობრივი თვითმმართველობისათვის განსაზღვრულ პროცედურებს.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ს. ოქროპირიძე**